პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვინაისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 მაგათი 5 მარტი № 54 (16791) ფასი 2 კაპ. 1977

XXV ყრილობის იდეები ცოცხლობს ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ყოველდღიურ საქმეებში. რაც უფრო ღრმად ჩასწვდებიან და ალიქვამენ ამ იდეებს [illegible] ხალხები, მით უფრო მძლავრ მატერიალურ ძალად მთელი ჩვენი განვითარების მძლავრ ამჩქარებლად გადაიქცევიან ისინი. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან — რაც უფრო კეთილსინდისიერი და ეფექტიანია მათი შრომა, მით უფრო მტკიცეა სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, მით უფრო კარგი და ლამაზია ჩვენი ცხოვრება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

დამკვრელური შრომით ვუპასუხოთ სამშობლოს ჯილდოს

თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

საზეიმოდ არის მორთული საქართველოს სსრ უმაღლესი სახელმწიფო ალმასმფრენი. 4 მარტს აქ გაიმართა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ქალაქ თბილისისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას.

აქ მოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობების, მომსახურების სფეროს მოწინავენი, სახელოვანი მშრომელი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლები — ისინი, ვინც ჭედდა გამარჯვების მეათე ხუთწლედის პირველი წლის შეჯიბრებაში.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ბ. ბ. გილაშვილი, ბ. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პაპარიძე, ჯ. ი. პაპიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ბ. შეკარდნაძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარმავა, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრები, პარტიის რაიკომების მდივნები და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი: პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები. აქვე არიან თბილისთან შეჯიბრებული აზერბაიჯანისა და სომხეთის დედაქალაქების — ბაკოს და ერევნის, აგრეთვე სახელოვანი ურალის ქალაქ სვერდლოვსკის დელეგაციები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

მხურვალედ მიულოცა რა თბილისელებს 1976 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და დამსახურებული ჯილდო, მან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და უსურვა თბილისელებს კვლავაც ეშროშოთ მაღალნაყოფიერად, ხარისხიანად, ვადამდე შეესრულებინოთ გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ღირსეულად შეხვედროდნენ სახელოვან ისტორიულ თარიღს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და ხაბჭოთა თავრობას ქვეყნის უველა ერისა და ეროვნების აყვავებისათვის დაუცხრომელი მამობრივი ზრუნვის გამო და საქართველოს დედაქალაქის შრომელთა სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ სახელოვანი ტრადიციების ერთგული თბილისის მუშათა კლასი, ინტელიგენცია ყოველ ღონეს იხმარენ, რათა იყვნენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შეასრულებაში მათი წვლილის დიდი შეფასების ღირსნი.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბ. დ. მახარაშვილი, „მოვართბილისმშენის“ № 14 ტრესტის მშენებელთა ბრიგადირი თ. ბ. გოლეთიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტ. რიბგპაპა, აზერბაიჯანის კომპარტიის ბაკოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. ქერიმოვი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვ. ვ. ფელიძე, ამერიკაკავასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს, წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. მ. ოგეერჩუკი, სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ნერსესიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ს. ვ. ფურნიშიძე, სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მანიუხინი, სამკერავლო ფაბრიკა „ამერანის“ მუშა ს. ხ. საპაკოვა, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. მ. ლეკიშვილი.

აქტივის კრების მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის პიონერები და ახალგაზრდობა.

კრებაზე მიიღეს ქალაქ თბილისის მშრომელთა 1977 წლისა და მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებები.

კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საყოველთაო-სახალხო საქმეში თბილისელთა შრომითი წვლილის დიდი შეფასება მათ ახალ მიღწევებს შეაგონებს სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

თბილისი. 1977 წ. 4 მარტი. სურათზე: ქალაქ თბილისისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს. ვლ. გინზბურგის („კომუნისტი“) და საქინფორმის ფოტო.

დიდი აღმავლობისა და აღფრთოვანების ვითარებაში ჩაიარა, ნამდვილად სასახარულო დღესასწაული გახდა ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ქალაქ თბილისისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

ეს იყო არა მარტო კომუნისტური შრომის დღესასწაული, არამედ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ზეიმიც.

თბილისისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის ზეიმში მონაწილეობდნენ სტუმრები — რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, ურალის სახელოვანი ქალაქიდან — სვერდლოვსკიდან, ამერკავკასიის მომქმე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან — ბაკოდან და ერევნიდან, რომლებთანაც საბჭოთა საქართველოს მშრომელებს დიდი ხნის მტკიცე მეგობრობა, ნამდვილი ძმობა აკავშირებთ. კრებამ კიდევ ერთხელ ნაღლად ცხადყო საბჭოთა ადამიანების ურყევი შეკავშირება კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გარშემო.

ღირსშესანიშნავ დროს შეეკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის 82-ათასეული პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, ნიჭიერი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საბჭოთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მაღლა აღმართავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შრომის დროშას.

ერთი წელი გავიდა სკკპ ისტორიული ყრილობის შემდეგ, ბევრი წელი შესრულდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან. სასიხარულოა, თქვეს გამოსულმა ამხანაგებმა, რომ ჩვენ სწორედ ამ ღირსშესანიშნავ დღეებში მიეგებთ პატრიოტ გამარჯვებულ თბილისელ მშრომელებს.

ქალაქის მშრომელებმა პირველად მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში — გამარჯვებისათვის. ეს დიდი გამარჯვებაა და მას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ხუთი წლის წინ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე ცნობილი დადგენილება რომ გამოიტანა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი სჭირდებოდა ნაკლი გვქონდა, როგორც საქართველოს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციის ორგანიზატორულ მუშაობაში, ისე პოლიტიკურ საქმიანობაში, ქალაქის ეკონომიკისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობაში.

თბილისის მშრომელებისათვის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება ამასაც ნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ სულ სხვაგვარად შეაფასეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა. თბილისელი მშრომელების გამარჯვება ამ დიდი ზრუნვის შედეგია, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი იჩენენ საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის. ამ ზრუნვის გამოხატულებაა ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული პარტიული დოკუმენტები: ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, დადგენილებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, გადაწყვეტილებანი, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს კომპარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით, ყველა კომუნისტის სახელით გამოსულმა ამხანაგებმა მხურვალე მადლობა მიაკისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობაში.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული საკითხი ჩვენ ბოლოდ ერთ-ერთ ადგილზე ვიდგეთ.

დამკვრელური შრომით ვუპასუხოთ საბჭოთა ხელისუფლებას

(დასასრული)

სწორედ მან, ლეგენდარულმა სერგო-მოამწყრა ხელი 1921 წელს ისტორიულ დეპეშას: „მოსკოვი, კრემლი. ლენინს. სტალინს. თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! სერგო ორჯონიკიძე“. თითქოს ამ რევოლუციური გარიჟრაჟის ნაწილია, ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დღეს გადაეცემა ქალაქ თბილისს. ეს დროშაც რევოლუციის ფერია, როგორც პირველი დროშა, რომელზეც წერდა სერგო ორჯონიკიძე კრემლში რევოლუციის ბელადს. სწორედ ეს არის დროთა კავშირის, შედეგდებული ეპოქის ოთობათა ერთობის დიადი პოლიტიკური და ფილოსოფიური სიმბოლიკა.

სკკპ ისტორიული XXV ყრილობის შემდეგ წარმატებით დამთავრებულ პირველ შრომით წელს, აღნიშნეს ორიტორებმა, აკუმულირებულია მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია და შრომითი ენთუზიაზმი, პატრიოტული განწყობილება და ნოვატორული ძიება. გაერთიანებულია პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი სამეურნეო-ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა, ჩაქსოვილია თვითეული თბილისელის თავდადებული შრომა და „კეთილშობილური მისწრაფება ყოფის ჩვენი საშობლოს დიადი საქმეების მონაწილეობა.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მხურვალედ „ჭვრეტენ მზარს რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასები, თანამიმდევრულად და განზრახულად ახორციელებს ეკონომიკაში ამ ცოტა ხნის წინათ დაშვებული ჩამორჩენის გადაჭრით დამლეგის „ჯოხს, თბილისის მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა უკანასკნელი წლების მანძილზე და მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. თუ 1972 წელს ქალაქის ინდუსტრიის პროდუქციის ღირებულება ოდნავ აღემატებოდა 1,5 მილიარდ მანეთს, 1976 წელს ამ მაჩვენებელმა 2 მილიარდ მანეთს გადაჭარბა. ამასთანავე, 1972 წელს გამოშვებული იყო 9,6 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია, ხოლო 1976 წელს — 60 მილიონი მანეთისა, ესე იგი ექვსჯერ მეტი. სამი ათასი მანეთით გაიზარდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ერთი მომუშავის გამომუშავება.

რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულა 1976 წლის გეგმა, — ეს ორი დღით უფრო ადრეა, ვიდრე გათვალისწინებული იყო სოციალისტური კალდებულებებით. საწარმოთა ორ მესამედზე მეტმა წლიური პროგრამის რეალიზაცია შეძლო უფრო ადრეც — 20 დეკემბრისათვის.

გაიზარდა ფონდაღჭურვილობა, სტაბილური ბაზა ფონდფუძეების ფონე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ამის შედეგად პროდუქციის საერთო მატების 85 პროცენტზე მეტი მიღებული იყო ამ მაჩვენებლის ზრდიდების გზით.

დაცებითი ტენდენციები დაესახა პროდუქციის ხარისხის შედეგმი გაუთვალისწინების საკითხების გადაწყვეტაში. 1976 წელს გამოშვებული იყო 735 სახეობის ახალი პროდუქცია 500 სახეობის ნაცვლად. ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა 113 ნაწარმს, ესე იგი გაცილებით მეტ ნაკეთობას, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვის გზაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მშენებლობაშიც, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაშიც. საქალაქო მეურნეობასა და მომსახურების სფეროში.

თბილისი რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულა 1976 წლის გეგმა, — ეს ორი დღით უფრო ადრეა, ვიდრე გათვალისწინებული იყო სოციალისტური კალდებულებებით. საწარმოთა ორ მესამედზე მეტმა წლიური პროგრამის რეალიზაცია შეძლო უფრო ადრეც — 20 დეკემბრისათვის.

გაიზარდა ფონდაღჭურვილობა, სტაბილური ბაზა ფონდფუძეების ფონე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ამის შედეგად პროდუქციის საერთო მატების 85 პროცენტზე მეტი მიღებული იყო ამ მაჩვენებლის ზრდიდების გზით.

დაცებითი ტენდენციები დაესახა პროდუქციის ხარისხის შედეგმი გაუთვალისწინების საკითხების გადაწყვეტაში. 1976 წელს ახალი პროდუქციის ზრდა 1,5 მილიარდ მანეთს, 1976 წელს ამ მაჩვენებელმა 2 მილიარდ მანეთს გადაჭარბა. ამასთანავე, 1972 წელს გამოშვებული იყო 9,6 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია, ხოლო 1976 წელს — 60 მილიონი მანეთისა, ესე იგი ექვსჯერ მეტი. სამი ათასი მანეთით გაიზარდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ერთი მომუშავის გამომუშავება.

რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულა 1976 წლის გეგმა, — ეს ორი დღით უფრო ადრეა, ვიდრე გათვალისწინებული იყო სოციალისტური კალდებულებებით. საწარმოთა ორ მესამედზე მეტმა წლიური პროგრამის რეალიზაცია შეძლო ადრეც — 20 დეკემბრისათვის.

ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით „მაღლები, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას მეცნიერებამ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბევრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ქალაქის ბევრი საუნივერსიტეტო და საპროექტო ორგანიზაციები წარმატებით ანაღდებს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ კალდებულებებს და უზრუნველყოფს წარმოებასთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას. ამასთან, კრებაზე აღინიშნა, რომ სამეცნიერო დაწესებულებებისა და საწარმოო კოლექტივების ერთობლივი მუშაობა უფრო გეგმაზომიერი უნდა გახდეს, გათვალისწინებული იყოს ხანგრძლივი პერსპექტივისათვის.

კრებაზე მოიყვანეს იმის მაგალითები, თუ რა მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ თბილისის მოწინავე შრომითი კოლექტივები, სოციალისტური შეჯიბრების მედროშენი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების განხორციელებაში. ერთი მთგანია, მაგალითად, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმო გაერთიანება, რომელმაც 1976 წლის არსებული შეკვეთა განაწესებით საექსპორტოდ გაგზავნა 263 ჩარხი. 1976 წელს 91 ა11 მოდელის მილსაჭრელ ჩარხს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში შრომის ნაყოფიერების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის განაწყვეტელი ზრდის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოების დიდი კულტურა. ქარხანაში შემუშავებული და ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კოლექტივის სოციალური განვითარების გეგმა.

1977 წლის დამთავრებისთვის ქარხანაში დაინერგა 84 პროგრამული მართვის ჩარხი, ხუთწლედის დამლევამდე დამატებით დაინერგება 46 ჩარხი.

ქარხანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვასთან მჭიდრო კავშირით არსებითად იცვლება მუშის იერი: იგი უფრო წიგნიერი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებში ფარდოდ ერუდირებული ხდება. უფრო აქტიურად მონაწილეობს წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში.

დიდი ყურადღება ეთმობა საშუშაო ადგილების ორგანიზაციას, შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების კულტურას კოლექტივის სოციალური განვითარების თვალსაზრისით.

სოდამოსა და ლამის ცვლებში მომუშავეებისათვის ორგანიზებულია უფასო ცხელი კვება. არის საზოგადოებრივი კვების კომბინატი, რომელსაც აქვს თავისი სასადილები და ბუფეტები, სადაც დასაჯდომი ადგილები ორსებულ ნორმებს აღემატება.

ქარხნის სამსახურების რიგით შრომელსა თუ ხელმძღვანელს, ყველას პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება მიჩენილი სამუშაო უბნისათვის. ზუსტად მოქმედებს გამოთვლითი ცენტრის მეშვეობით დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლის სისტემა.

ბევრი რამ საინტერესოა თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში.

საქართველოს დედაქალაქის შრომელთა გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს მშენებლებმა. თბილისი ახალ მშენებლობათა ქალაქია. თბილისის საარაო ორგანიზაციების მუშათა შრომის ფონდაღჭურვა ხუთწლედში 35.4 პროცენტით გაიზრდება, შრომის მექანაღჭურვა — 39,5 პროცენტით. ისახება სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა ტექნიკური აღჭურვის ღონეთა შორის განსხვავების მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია.

პროგრესული მიმართულებით იცვლება მშენებელთა კოლექტივების სოციალური სტრუქტურა. დადებითი ცვლილებები ხდება მუშათა პროფესიულ-კვალიფიკაციურ შემადგენლობაში, იცვლება თვით შრომის შინაარსი, ძლიერდება მისი შემოქმედებითი ხასიათი, იქმნება ახალი პროფესიები და სპეციალობები.

ბევრი რამ კეთდება სამშენებლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და „კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მაგრამ კრებაზე აღინიშნა, რომ მშენებლობის, გაწაკეთრებით „ი სამენაო მშენებლობის ხარისხი ჯერ ისევ კეთდია. თბილისში სამენაო მშენებლობის ხარისხი ზოგჯერ ჩამოუვარდება რესპუბლიკის ბევრ ქალაქში მშენებლობის ხარისხს.

თბილისელ მშენებლებს თუ საქმეს მთელი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მოეკიდებიან, შეეძლოთ ამენონ თანამედროვე სტანდარტების დონეზე. ამის მტკიცებულებაა „დინამოს“ სტადიონი, საქართველოს ფილარმონიის შენობა, № 1 რესპუბლიკური საავადმყოფო, ბევრი სკოლა და სხვ. მაგრამ სამენაო მშენებლობა ხშირად უხარისხოდ წარმოებს და საჭიროა ღონისძიებათა მიღება მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა, მისი ხანგრძლივობის შემცირება იმ ბაზაზე, რომ კაპიტალური დანაბდების გეგმები ჯერჯვნად შეესაბამებოდეს საიჯარო ორგანიზაციათა ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და სამუშაოებს, აგრეთვე ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვის შეზღუდვა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ეს მით უმეტეს საჭირო, რომ წლეულს ქალაქის მშენებლებმა უნდა აითვისონ 220 მილიონ მანეთზე მეტი მოცულობის კაპიტალური დაბანდება.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება სოციალიზმის ძირითადი კანონის მოთხოვნაა. პარტიის საპროგრამო ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“ რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში კონკრეტული საქმეებით ხორციელდება და რეალური სინამდვილე ხდება.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა ინდუსტრიული და საზოგადოებრივი პოტენციალის დაჩქარებული განვითარების ბაზაზე მიღწეულ ეროვნული შემოსავლის ოპტიმალურ ზრდას და ამ საფუძველზე კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე.

მეათე ხუთწლედში ქალაქ თბილისის მეშა-მოსამსახურეთა ხელფასი 18 პროცენტით უნდა გაიზარდოს, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებამ და შეღავათებმა ამ დარგში თითქმის 30 პროცენტი უნდა შეადგინოს.

მაგრამ ეს ზრდა, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, თავისთავად ვერ მოხდება, უნდა განუხორციელოთ ოპტიმალური, მაქსიმალურად დასაბუთებული ღონისძიებები იმისათვის, რომ ეს ციფრები რეალობად იქცეს.

კრებაზე გამოსულთაგან ბევრმა საერთო აზრი გამოთქვა და ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა ქალაქის, მუშათა კლასი, სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენცია ყოველნაირად და ყოველმხრივ ეხმარებოდეს სოფელს, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეჰქონდეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რაც ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი გზაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის ვაჭრობისა. და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების პრობლემები. ბლენუმის მასალები საქალაქო პარტიული ორგანიზაციისათვის ამ სფეროში მუშაობის ძირეული გარდამნეს, საფუძველი უნდა გახდეს. უნდა განვამტკიცოთ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მკვეთრად ავამაღლოთ ფართო მოთხოვნის საქონლის წარმოების დონე, გავადიდოთ მაღაზიების საერთო სავაჭრო ფართობი, განმანაწილებელი მაცივრების, საცავების სიმძლავრე და სხვ. უნდა სრულყოთ სავაჭრო პროცესი, ფართოდ გამოვიყენოთ მყიდველთა მომსახურების პროგრესული მეთოდები, გავაფართოოთ თვითმომსახურების მაღაზიების ქსელი, უფრო თანმიმდევრად განვალაგოთ სავაჭრო ობიექტები, განვავითაროთ საზოგადოებრივი კვება, დღენიადაგ ვიზრუნოთ სახალხო მეურნეობის ამ „უმნიშვნელოვანესი დარგების მუშაკებისათვის.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია ბინის პრობლემის გადუჭრელად. თუ 1971 წელს თბილისში სახლნაო ბინობები გაიზარდა 3 ათასამდე ოჯახმა, 1976 წელს ასეთი ოჯახების რიცხვი 8.419-მდე გაიზარდა. თბილისში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საექსპლოატაციაოდ გადაეცა 33 ათას 758 ახალი ბინა. სახლნაო პირობები გაიუმჯობესა ასათასზე მეტმა მცხოვრებმა. მეათე ხუთწლედში თბილისში აშენდება 2 მილიონ 500 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ახალმოსახლეობას გადაიხდის 47 ათასზე მეტი ოჯახი. თუ 1971-1975 წლებში სახლნაო მშენებლობაში „კაპიტალურმა დაბანდებამ 362 მილიონამდე მანეთი შეადგინა, მეათე ხუთწლედში ეს თანხა 427,3 მილიონ მანეთამდე გაიზრდება, ზრდა შეადგენს 18,1 პროცენტს. ყოველივე ამის შედეგად გაცილებით უკეთ გადაწყდება ქალაქის სახლნაო პრობლემა.

თბილისში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ფართო პროგრამა ხორციელდება. მეტროპოლიტენის საექსპლოატაციო ხაზი 5,8 კილომეტრით იზრდება. მიმდინარეობს გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია, მთავრდება ახალი ხიდის მშენებლობა მტკვარზე, რომელიც დააკავშირებს ორ მოგაჯნავე რაიონს — დიდუბესა და სპპერთალოს. მეათე ხუთწლედში აშენდება 24 ახალი სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება, ძირითადად ქალაქის ახალ საცხოვრებელ რაიონებში. ადგილების რაოდენობა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში 22,6 პროცენტით გაიზრდება. აშენდება 21 ახალი თანამედროვე სკოლა, ქალაქის სკოლებში ადგილების რიცხვი 21,9 პროცენტით გადიდდება.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად გამოიყოფა 8 მილიონ 815 ათასი მანეთი კაპიტალური დაბანდება.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. თუ მეცხრე ხუთწლედში ახალი სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობას 28,1 მილიონი მანეთი მოხმარდა, მეათე ხუთწლედში ეს თანხა 40,6 მილიონ მანეთამდე გაიზრდება. დედაქალაქის ჯანმოელობის დაცვაში ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგის დამყარება დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, აღინიშნა კრებაზე.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კეთილმოწყობილი იყოს დედაქალაქის ქუჩები, სკვერები, მოედნები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქის გამწვანებას. ჩვენს დედაქალაქს ყველაზე კულტურული და ყველაზე სანიმუშო ქალაქის, რესპუბლიკის მთავარი ქალაქის იერი უნდა ჰქონდეს.

კრებაზე გამოსულებმა ილაპარაკეს იმ დიდ აღმავლობაზე, რომელიც ამ დღეებში იგრძნობა ქალაქის შრომითს კოლექტივებში, ახალ პატრიოტულ წამოწყებათა ფართო გავრცელებაზე.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს ლექციები და მოსენებები სკკპ საბინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანები ა. ა. ალექსანდროვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ვ. ა. კარლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ო. ბ. რახმანინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, სახელმწიფო ორგანოების, სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა და მეცნიერებმა.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტისა და საფრანგეთის პროგრამების მწარმოებელი კომპანიის თანამშრომლობის შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს ორი ორგანიზაციის ურთიერთობის განვითარებას ჰელსინკის აქტის სულისკვეთებით. დასახულია შეიქმნას ფილმები სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა ცხოვრების შესახებ. შეთანხმებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ტელეპროგრამებს მოამზადებენ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარემ ს. გ. ლაპინმა და საფრანგეთის პროგრამების მწარმოებელი კომპანიის პრეზიდენტმა გენერალურმა დირექტორმა ჟ.-შ. ედლინმა. (საკდესი).

ლექტორების თათბირ-სემინარი

4 მარტს მუშაობა დაამთავრა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო და საოკრუგო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტორგანოების ლექტორთა საკავშირო თათბირ-სემინარმა.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს ლექციები და მოსენებები სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, რომლებიც მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირზე.

• • •

იმავე დღეს ამხანაგები ბ. ნ. პონომარიოვი და მ. ვ. ზიმიანინი მოსკოვში დაბრუნდნენ.

საუბარი კრემლში

4 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო [illegible] თის გაერთიანებული [illegible] რიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. შიდლიაკი.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის განვითარების [illegible] ბის საკითხებზე [illegible] ამ შეთანხმებათა [illegible] ბიერში სსრ [illegible] ავამაღლებენ პოლონეთის სახალხო [illegible] ის [illegible] ტის [illegible] ბ. ნ. [illegible] ტის [illegible] ბ. ნ. [illegible] ტის [illegible] ბ. ნ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ალვკვეთოთ პირუტყვის, ფრინველისა და საკვების დატაცება-განიავება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის გაერთიანებებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში ჯერაც ბოლო არ მოღებია ფაქტებს, როცა ბატკნებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, არ აღრიცხავენ პირუტყვსა და ფრინველს, საზოგადოებრივ პირუტყვთან ერთად ფიზშენერეულნი რაოდენობით ინახავენ კერძო პირთა კუთვნილ პირუტყვს, უყაირათოდ ანიავებენ საკვებს და სჩადიან სხვა უხეშ დარღვევებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მარტში 1.037 ობიექტი შეამოწმა, ტატაცების ფაქტები გამოაღენინა მეცხოველეობის 86 ფერმასა და მეფრინველეობის ფაბრიკებში, კერძოდ 18 დატაცება ეხებოდა პირუტყვს და 68 — კომბინირებულ საკვებს. გარდა ამისა, შემოწმებამ გამოარკვია, რომ აღრიცხული არ იყო 209 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 520 ცხვარი და 76 ღორი. საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებში კვებავდნენ კერძო პირთა კუთვნილ 560 სულ პირუტყვს, რამაც მეურნეობებს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა.

გამარკვევის მეფრინველეობის ფაბრიკაში (ყოფილი დირექტორი ზ. მენთეშაშვილი) რევიზიის შედეგად გამოვლინდა 16 ათასი ბრენთის — 9.495 კილოგრამი ფრინველის დანაკლისი. ცოცხალი წონით, ორი თვის მანძილზე ცუდი მოვლის გამო აქ გაწყდა 330 ათასი მანეთის 70 ათასზე მეტი ფრთა ფრინველი, კვერცხისა და ხორცის წარმოებაზე ხედმეტი დაიხარჯა 853 ათასი მანეთი, 47,3 ათასი ცენტნერი საკვები ერთეული. აქ გამოვლინდა აგრეთვე საერალიზაციოდ აღურიცხავი პროდუქციის გაგზავნის, ფრინველის გაწყვეტის ყალბი აქტების შედგენის, არარსებული თუმაკებისათვის ხელფასის დარიცხვისა და სხვა ფაქტები.

კასპის რაიონის ქავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში მეღორეობის ფერმის გამგეს ე. ბედოიძეს ღღმოაჩნდა 111 გოჭისა და ერთი ნუზეს დანაკლისი. ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის კოლმეურნეობის მეცხვარემ ო. ალიევმა მიითვისა 27 სული ცხვარი, ადიგენის რაიონის მლაშის საბჭოთა მეურნეობაში აღმოჩნდა შემოსავალში გაუტარებელი 31 ბატკანი, 18 ხბო და 4 ღორი. ცუდი მოვლის გამო მესტიის რაიონის უბნულის საბჭოთა მეურნეობაში გაწყდა 45 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

მახარაძის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატის საწყობის გამგეს გ. სიხარულიძეს ადმოჩნდა 30,3 ათასი მანეთის ე. ი. 292 ტონა სიმინდის დანაკლისი. მლაშის საბჭოთა მეურნეობაში გამოვლენილია 148 ტონა თივისა და 31 ტონა ნამჯის დანაკლისი, უშგულის საბჭოთა მეურნეობასა და ყაზბეგის რაიონის ყოანოვის სახელობის კოლმეურნეობაში—ათასი ტონა კომბინირებული საკვების დანაკლისი. გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის მეცხვარეობის გაერთიანების მწყემსმა დ. აფთარაულმა და დუშეთის რაიონის ანაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა მ. გუშარაშვილმა მიითვისეს 8,4 ტონა კომბინირებული საკვები.

თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის ფერმაში ჰყავდათ კერძო პირთა კუთვნილი 32 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, უშგულის საბჭოთა მეურნეობაში 15 ღორი და 4 ძროხა. ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე საზოგადოებრივ ფარასთან იზამთრებდა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის სამი მეცხოვრების კუთვნილი 584 ცხვარი.

პირუტყვისა და ფრინველის, აგრეთვე საკვების დატაცების ფაქტები გამოვლინდა გაერთიანება „საქფრინველმრეწვში", წითელწყაროს, ცაგერის, მცხეთის, ქობულეთის, ხულოს, მაიაკოვსკისა და მთელი რიგი სხვა რაიონების, აგრეთვე ქალაქ ტყიბულის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობენ გაფლანგვის ან დატაცებისათვის ნასამართლევი პირები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებით შეუწყნარებლად მიაჩნია ის ფაქტები, როცა სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების ცალკეული მუშაკები დანაშაულებრივ კავშირს იჭერენ დატაცებლებთან. ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ცალკეული მუშაკები არათუ არ ეწევიან ყოველდღიურ ბრძოლას ასეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში თავიანთი უმოქმედობითა და წაყრეებით ხელსაც კი უწყობენ საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებასა და განიავებას.

სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროები, მათი ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 აგვისტოს დადგენილებას სოფლის მეურნეობაში, დამამზადებელ ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელ სამრეწველო საწარმოებში სახელმწიფო კოოპერაციული სახსრების გაფლანგვისა და დატაცების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ. ეს დადგენილება მათ აკისრებს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების კოოპერატულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას. მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები კი ნაკლებეფექტიანია.

უფრო ეფექტიანად უნდა იმოქმედოს აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება-განიავების პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის.

საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის, ფრინველისა და საკვების დატაცება-განიავების, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი ფაქტების აღკვეთის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკების ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, მათს სოფლის მეურნეობის სამმართველოებს ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 აგვისტოს დადგენილების განხორციელებისათვის. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც ეზრუნველყოფენ პირუტყვისა და ფრინველის შენახვის გაუძღებულობას, პირველადი ზოოტექნიკური აღრიცხვის მოწესრიგებასა და საკვების რაციონალური ხარჯისადმი მკაცრ კონტროლს.

მეცხოველეობის ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში უნდა ეწყობოდეს მოულოდნელი შემოწმებები და რევიზიები, უფრო ხარისხიანად ტარდებოდეს ინვენტარიზაცია, მკაცრი კონტროლი გაეწიოს მოზარდეულის აღრიცხვას, პირუტყვისა და ფრინველის გადაადგილებას, საკვების გამოყენებას, გადამჭრელი ზომები ხორცეულდებოდეს იმ დარღვევებისა და ხარვეზების დროულად აღმოფხვრისათვის, რომლებიც ადმოჩენილია. ამ მოვლენილია საზოგადოებრივი პირუტყვის შენახვისა და აღრიცხვაში.

დადგენილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებას, რათა სახელმწიფო წესრიგი დამყარდეს სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფაში, განმტკიცდეს სფინანსო და საანგარიშგებო დისციპლინა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დამამზადებელ ორგანიზაციებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. აღიკვეთოს სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრების, მეცხოველეობის პროდუქტების საკვების, პირუტყვისა და ფრინველის განიავება-დატაცების ფაქტები.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის გაერთიანებათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები პერსონალურად აგებენ პასუხს მეცხოველეობის პროდუქტებისა და საკვების არასწორი აღრიცხვის, განიავების, გაფლანგვისა და დატაცების, საქონლისა და ფრინველის მოვლის წესების დარღვევის გამო.

სოფლის მეურნეობის, დამზადების სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მუშაკებით გაამაგრონ საბუღალტრო და საკონტროლო აპარატი, მკაცრად გააუქმებესონ საეწყეთო კონტროლი, გარდაქმნან სარევიზიო კომისიების მუშაობა, უზრუნველყონ მოულოდნელი და საგგამო რევიზიების მაღალხარისხოვნად მოწყობა, რათა შეუმჩნეველი არ დარჩეთ სოციალისტური საკუთრების ხელყოფის არც ერთი შემთხვევა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის პროკურატურასთან, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს სოციალისტური საკუთრების დატაცების, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ დანაშაულობათა პროფილაქტიკის დონე.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკვალა ტატეგორიულად აკრძალოს კერძო პირთა კუთვნილი პირუტყვის ყოლა საზოგადოებრივი პირუტყვის ჯგუფში, ხოლო თუ ასეთი ფაქტები გამოვლინდა, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა მკაცრად დასჯის მიზნით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად უნდა შეისწავლოს პირუტყვის გაწყდომის, ქარნინებიდან კომბინირებული საკვების გაეკმისა და ხარკვის აღრიცხვის სისწორე, გააანალიზოს პირუტყვისა და ფრინველის დატაცების ყოველი ფაქტი, გამოიკვლიოს და პასუხისგებაში მიაცეს ყველა კონკრეტული დამნაშავე.

ცნობად არის მიღებული საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის კ. კეთილაძის განცხადება, რომ საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა საქმეები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაერთიანებებში, კომბინირებული საკვების დამამზადებელ საწარმოებში გამოვლენილი დარღვევებისა და დანაშაულობების შესახებ.

(საქინფორმი).

---

4 მარტი

„პრავდის" ფურცლებზე

მოწინავე წერილში „ჩვენი სოფლების განახლება", ნათქვამია, რომ „პარტიული ორგანიზაციების ვალია კიდევ უფრო აამაღლონ თვითეული სოფლის მშენებლის, ყველა იმათი პასუხისმგებლობა. გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, ვისზეც დამოკიდებულია სოფლის განახლება. მათ უფრო ენერგიულად უნდა ჩაბან კოლექტივები საკავშირო შეჯიბრებაში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. გამოიჩინონ ხოლმე მომთხოვნელობა და სიმკაცრე ყოველთვის, როცა საქმე ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ეხება. პარტიულ კონტროლს უნდა დავუქვემდებაროთ ობიექტების ჩაბარების ვადების დაცვა".

ქ. ნაზაროვოში (კრასნოიარსკის მხარე) იგო და უკვე ქვანახშირის ჭიაღლში პირველი ნაბიჯები გადადგა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძლავრმა ექსკავატორმა ეშ-100/100. თუ რას წარმოადგენს იგი და როგორ მიმდინარეობდა მისი მონტაჟი, ამას მკითხველი გაეცნობა „პრავდის" კორესპონდენტის რეპორტაჟში „გიგანტი გზას დაადგა".

„ვიყოთ ორგანიზატორი და არა რეგისტრატორი" — ასეთი სათაურით გაზეთი ბეჭდავს წერილს პოლტავის ოლქიდან.

გაზეთის ფურცლებზე გრძელდება საუბარი თემაზე „ოქტომბერი ჩვენს ცხოვრებაში". რედაქცია ყოველდღიურად ასობით მკითხველის წერილს იღებს. გუშინდელ ნომერში საერთო სათაურით „შრომით ვადიდებთ სამშობლოს" გამოქვეყნებულია სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა რამდენიმე წერილი.

რუბრიკით „მკითხველი გვატყობინებს" გაზეთი ბეჭდავს სოფელ ახაშენის (აჭარის ასსრ) კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. თურმანიძის კორესპონდენციას „შრომის ვეტერანებს", სადაც ნათქვამია, რომ კოლმეურნეობის პარტკომისა და საერთო კრების გადაწყვეტილებით შრომის ვეტერანების, საპატიო და დამსახურებული კოლმეურნეების სახელებზე გაკეთდა ბრონი წარწერით: „აქ ცხოვრობს დამსახურებული კოლმეურნე". ასეთი ბრონი უკვე გაჩნდა სულეიმან ხარაძის, შუქრი სურმანიძის, სანინე ზოიძის და სხვა მოწინავეთა სახლებზე.

ნომერში ფართო ადგილი ეჭვს დათმობილი უცხოეთის, საკავშირო და სპორტულ ინფორმაციას.

PRAVDA

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შემდეგ

გარდატეხა დაიწყო

ქუთაისის მრეწველობაში

კომპლექსურად შრომა ინერგება

მოსახლეობის საავეჯო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მომსახურების მთელი სფეროს ყოველმხრივი გაუმჯობესება ხვალინდელი კი არა, დღევანდელი ამოცანაა, — აღინიშნა პლენუმზე და მართლაც, ქუთაისის მშრომელთა საავეჯო მომსახურების ერთ-ერთ წამყვან და მძლავრ ორგანიზაციაში „მრეწველჯრობაში", რომელსაც ქალაქის საცალო ვაჭრობაში 60 პროცენტი უჭირავს, სწორედ აქეთკენ წარიმართა პრაქტიკული საქმიანობა.

ღონისძიებათა კომპლექსში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს საავეჯო საწარმოთა ბაზაზე სასაქონლო სპეციალიზაციის თვალსაზრისით მსხვილ გაერთიანებათა შექმნა. ჯერ კიდევ პლენუმისათვის მზადების პერიოდში 105 საავეჯო საწარმოს ბაზაზე შეიქმნა 17 გაერთიანება ერთიანი სამეურნეო-პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელობით. ამან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საავეჯო მუშაობა, მართვის სტრუქტურა, გაძლიერა კონტროლი ძირეული რგოლების მუშაობისადმი. მოდით ისევ ციფრების ენას მივმართოთ. შარშან თებერვლის 24 დღეში საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას 36.600 მანეთი დააკლდა, დაევალება მხოლოდ 87,6 პროცენტით შესრულდა. წლეულს თებერვალში საქონლბრუნვის დაევალება არათუ ყოველდღიურად სრულდება, არამედ მნიშვნელოვნად აჭარბებს დასახულ ციფრებს. ამავე თვეში მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მიეყიდა 100.000 მანეთზე მეტი სამრეწველო ნაწარმი. თუ შარშან იანვარ-თებერვალში 105 ობიექტიდან საქონლბრუნვის დაევალება ვერ შეასრულა 48 ობიექტმა, წლეულს მათი რიცხვი 9-მდე დავიდა. ამასთან ნორმატიული ნაშთი 2 მილიონი მანეთით შემცირდა.

კადრების შემადგენლობასაც დაეტყო შესამჩნევი ცვლილებები. შარშან იანვარ-თებერვალში სამუშაოზე მიღებულ 38 მუშაკიდან ქალი მხოლოდ 29 იყო, წლეულს ორ თვეში მიღებული 21 ქალი. ისიც აღსანიშნავია, რომ თვითეული დახლის მუშაკის თვიური ხელფასი 28 პროცენტით გაიზარდა და 100 მანეთს მიაღწია.

საინტერესოა ისიც, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერდა კონტროლი, ამაღლდა მისი ხარისხი. თუ 1976 წლის იანვარ-თებერვალში შემოწმებულ იქნა 9 საავეჯო ობიექტი და მათგან ოთხში გამოვლინდა დარღვევები, ამჟამად უკვე შემოწმებულია 33 ობიექტი, რომელთაგან 8-ში აღმოჩნდა დარღვევები.

ასეთია ის პირველი შედეგები, რაც პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებისათვის დაწყებულმა ბრძოლამ გვიჩვენა. მაგრამ ამ ბრძოლას ჯერ კიდევ არ მიეცა ის სიმწვავე, რაზეც ასე პრინციპულად მსჯელობდნენ პლენუმზე. იქიდან თუნდაც ბაზებთან და მომწოდებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობა. იმის გამო, რომ შესაბამისი სამსახურები, საქონელმცოდნე-წყნმდებლები და მომწოდებელი საწარმოები სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებენ პროდუქციის ხარისხზე, წლეულსაც გრძელდება დაბალი ხარისხის, უფრო მეტიც, უხარისხო პროდუქციის შემოზიდვა. მაგალითად, თბილისის სართავსტრიკოტაჟო კომბინატმა ამ დღეებში დაიკეკვთავად გამოგზავნა 30 ათასი მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელიც მთლიანად დაუბრუნდა მწარმოებელს. ბათუმის ტყავფეხსაცმლის ფაბრიკას თებერვალში 900 წყვილი ფეხსაცმლიდან უკან დაუბრუნდა 475. სავაჭრო ბაზები მხოლოდ თვის მესამე დეკადაში ახდენენ ქსელის ძირითად დასაკონსერვებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაზე.

ყველგან და ყოველთვის როდია დაცული საკონლის სავალდებულო ასორტიმენტი. ქსელში იშვიათად შეხვდებით დიდი ზომის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟის ნაწარმს. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან ბავშვები. სავაჭრო-კომერციული სამსახურის მუშაკები და საქონელმცოდნეები ჯეროვან ზემოქმედებას ვერ ახდენენ მომწოდებლებზე. ჯერ კიდევ გაბედულად არ ინერგება მომსახურების პროგრესული მეთოდები და ფორმები. მაგალითად, მთელ საქონელბრუნვაში თვითმომსახურება მხოლოდ 46 პროცენტს შეადგენს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო საკავშირო და რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

ქუთაისის მრეწველობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ა. სოხაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. ყურაშვილი, პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე ე. მუშკუდიანი) კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის" ინიგნალის შემდეგ

„უთავბოლოდ გაჭიანურებული მუენებლობა"

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტი

„კომუნისტის" 11 იანვრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის" დასახლების განაშენიანებაში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივანი ა. ბოკორიშვილი რედაქციას ატყობინებს:

ქარხანა „ელექტროელემენტის" დასახლების მიკრორაიონის განაშენიანების გენერალური გეგმით აქ ოთხი 50-ბინიანი სახლი უნდა აგებულიყო, რისთვისაც გათვალისწინებული იყო აგრეთვე წყლის დამცავი ჭებისა და სხვა აუცილებელი კომუნიკაციების მშენებლობისათვის 509,7 ათასი მანეთის გამოყოფა. სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ აღნიშნულ მიკრორაიონში გენერალური გეგმით განსაზღვრული ოთხი სახლიდან უპირველეს ყოვლისა გათვალისწინა ერთი 50-ბინიანი სახლის მშენებლობა. რისთვისაც 1973 წელს ქუთაისის სახლსაშენებელ კომბინატს გამოეყო 100 ათასი მანეთი. აქედან 10 ათასი მანეთი აითვისეს.

აღნიშნულმა სამშენებლო ორგანიზაციამ 1974 წელსაც ჩაშალა გეგმა და ნაცვლად 268 ათასი მანეთისა მხოლოდ 60 ათასი მანეთი აითვისა.

რადგან აღნიშნულ მიკრორაიონში მთლიანი კომპლექსის მშენებლობა ჯერჯერობითაც არ ხორციელდება, ამიტომ ახალი პროექტით წუალდამცავი ჭებრისა და კომუნიკაციების აგება მხოლოდ ერთი 50-ბინიანი სახლის საჭიროებისათვის იქნა გათვალისწინებული, რისთვისაც 1977 წელს გამოყოფილი 220 ათასი მანეთი ბორის სარაიონთაშორისო სამმართველოს გეგმაში შეიტანეს.

ამჟამად აღნიშნული სახლის გზენებლობა განახლებულია და მისი დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

ახალი ნიმუშის ანგარიში რესტორნებში

ზუსტი ანგარიშსწორებისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რესტორანსა და კაფეში 1 მარტიდან შემოიღო ახალი ნიმუშის ანგარიშის ბლანკი და მისი გაფორმების წესი.

ასეთი ანგარიში, რომელშიც მითითებულია მიტანილი კერძებისა და სასმელების სახე, რაოდენობა, ფასი და რომელიც ზუსტად მენიუს ფასების მიხედვით უნდა შეავსოს ოფიციანტმა, მტკიცე აღრიცხვაზე აყვანილი ბლანკია. იგი ორ ეგზემპლარად გამოიწერება (ორივე ერთი ნომრით), პირველი პირი და ჩეკი ერთად ბარდება მომხმარებელს, მეორე კი — საწარმოში რჩება.

დარბაზის მეგზურელი და ადმინისტრატორი პერსონალურად აგებენ პასუხს ოფიციანტების მიერ მომხმარებლებისათვის ბლანკითა და ჩეკით ანგარიშის გასწორებისათვის. ანგარიშის ბლანკის გამოუწერობის შემთხვევაში ადმინისტრატორსა და ოფიციანტს ათავისუფლებენ სამუშაოდან.

წერილი რედაქციას

მადლობა კეთილ ადამიანებს

შარშან, წლის ბოლოს მამა გამიხდა ავად, საჭირო იყო სასწრაფო მოსაკვალიფიციური სამედიცინო დახმარება და საკუთარი მანქანით ავადმყოფი მამა სოფლიდან თბილისში სამკურნალოდ წამოვიყვანე. გზაში, ზესტაფონის მახლობლად, მანქანას ნაწილი გაუფუჭდა. მივმართე ზესტაფონის ავტოროფილაქტორიუმს, როცა სამუშაო საათები უკვე დამთავრებული იყო. მაგრამ კეთილი გულის ადამიანებმა მამედ დავლაძემ და რამაზ დათუაშვილმა 4 საათი იმუშავეს, ნაწილი გამომიცვალეს და გზას დამაყენეს. და რაც ყველაზე უფრო მინდა აღვნიშნო, შრომის საფასური ზუსტად ნიხრის ფარგალში გადამახდევინეს.

ა. შენგელია,
შორეული ნათესავის მეზღვაური.

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი

პირველი მომხმარებლები მიღო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა, რომელიც მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში გაიხსნა. ერთიან კომპლექსში შეეყარა ტანსაცმლის ქიმური, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების შეკეთების სახელოსნოები, სხვა სამსახურები.

(საქინფორმი).

საკვლევი

ტელეტაიპის ლენტიდან

ერთიანი ფრონტით

● **რომი.** როგორც ტელევიზიიდან იუწყებიან, ისრაელში შეიქმნა მშვიდობისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის დემოკრატიული ფრონტი, რომელშიც შევიდნენ ისრაელის კომუნისტური პარტია, სეფარდიები (აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსული ებრაელი მოქალაქეები) პროგრესული ორგანიზაცია, ქვეყნის სხვა დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები. ენციეტის (პარლამენტის) 17 მაისის არჩევნებში ფრონტის მონაწილენი ერთიან სიებს წარადგენენ შეთანხმებული პლატფორმის საფუძველზე.

შტრაუსის ვოიაჟი

● **ბონი.** ბავარიის რეაქციული პარტიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე ფ.-ი. შტრაუსი 10 დღით გაემგზავრა აფრიკის ქვეყნებში ტოგოსა და ზაირში. ადგილობრივი მეთვალყურეების აზრით, სამრეწველო-საფინანსო წრეებთან, პირველ რიგში კი ბავარიის სამხედრო-სამრეწველო კონცერნებთან თავისი ურთიერთობით განთქმული დასავლეთგერმანელ მემარჯვენეთა ლიდერის ეს მოგზაურობა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს დასავლეთ გერმანიის კაპიტალის შეღწევას ახალგაზრდა განვითარებად ქვეყნებში.

იძულებითი არდადეგები

● **ნიუ-იორკი.** ნიუ-იორკის მუნიციპალური ხელისუფალნი, რომლებიც ფინანსური კატასტროფის მიჯნაზე დგანან, ქვლავ ამცირებენ განათლების საჭიროებისათვის ასიგნებებს. ჰარლემის ორი ათასზე მეტი მოსწავლე დაითხოვეს იძულებით არდადეგებზე. იუწყებიან რა მათი სკოლის დახურვას, ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ეს ნაბიჯი ნაკარნახევია „სახტიკი ეკონომიის" მოსაზრებებით.

წინადადება მოიწონეს

● **ვაშინგტონი.** ხალართაშორისო ურთიერთობის წარმომადგენელთა პალატის კომისიამ მოიწონა საკანონმდებლო წინადადება სენატორ ჰარი ბერდის შესწორების უარყოფის შესახებ. ეს შესწორება ამერიკის კორპორაციებს უფლებას აძლევს გაიტანონ როდეზიული ქრომი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბარგოს სოლსბერის რეჟიმთან ვაჭრობაზე. ადრე შესწორების უარყოფას მხარი დაუჭირა სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ.

ამერიკელ ექიმებს ეკრძალებათ ბინგლადეშელ ბავშვებზე ექსპერიმენტების ჩატარება

ბანგლადეშის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის ანგარიშზე ბანკებში ჩადებულ ფულად ანგარიშებზე ბოლო ერთ-ნახევარ თვეში 1 მილიონ 200 ათასი ინდური რუპიით გაიზარდა ანგარიშების ოდენობა. ეს ფული ბანგლადეშელ ემიგრანტებმა ინდოეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოგზავნეს.

ამერიკელ ექიმებს ეკრძალებათ ბინგლადეშელ ბავშვებზე ექსპერიმენტების ჩატარება

ბანგლადეშის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის ანგარიშზე ბანკებში ჩადებულ ფულად ანგარიშებზე ბოლო ერთ-ნახევარ თვეში 1 მილიონ 200 ათასი ინდური რუპიით გაიზარდა ანგარიშების ოდენობა. ეს ფული ბანგლადეშელ ემიგრანტებმა ინდოეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოგზავნეს.

---

4 მარტი

მსოფლიოს ამბები

ფაქტები ◆ პრობლემები

აპრიტიკებენ თეთრი საზლის აკცია

საზღვარგარეთის პრესაში იმასთან დაკავშირებით, რომ თეთრ ხალხში მიიღეს საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან გაძეკებული გარეწარი ბუკოვსკი, დაიბეჭდა მთელი რიგი მასალები, რომლებშიც დასაბუთებულად არის გაკრიტიკებული ამერიკის ადმინისტრაციის ეს აქცია.

ამერიკის გაზეთები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ჩვეულებრივ მაინცდამაინც მეგობრულ პოზიციას არ ადგანან საბჭოთა კავშირის მიმართ, სვამენ კითხვას, რა შეიძლება მოსყვეს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ახალი ადმინისტრაციის დემონსტრაციულ ჩარევას. „საკითხავია, — წერს, კერძოდ, „ნიუ-იორკ ტაიმსი", — უფლება აქვს თუ არა ჩვენს ქვეყანას ჰკუა ასწავლოს სხვებს და ხომ არ შეიძლება, რომ ამგვარმა მენტორობამ ხელი შეუწყოს იმას, რომ აიძულოს სხვები მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ და საქმე არ დაიჭირონ შეერთებულ შტატებთან".

როგორც იტალიის გაზეთის „რეპუბლიკის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ავტორიტეტიანი მიმომხილველები არ მალავენ, რომ მოვლენათა განვითარება შეიძლება კონტროლს აღარ დაექვემდებაროს და რადგან ისინი ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირენი არიან ან დიდი მნიშვნელობა აქვთ თავიანთი სტრატეგიული მდგომარეობის თვალსაზრისით. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, სამხრეთ კორეა, ჩილე და სხვები...".

ამერიკის შეერთებული შტატები სიტყვით „ადამიანის უფლებათა" ქომაგია, საქმით კი არ სურს ცნოს პალესტინელი არაბი ხალხის წარმომადგენლები, ხალხისა, რომელსაც ძირითადი თავისუფლებანი, მიწა-წყალი და კერა წართვეს. დამპყრობლებმა, ორმელებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება, წერს „ალბაზნ გაზეთი". ტოკიოს გაზეთი „ნიპონ კეიძაი" დღეს წერს, რომ ვაშინგტონი სრულიად გულგრილია სამხრეთ კორეის ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევებისადმი.

მეტი წესი უცხოელ კომენტატორები პოზიციას, რომელსაც ამერიკის ახალგაზელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელები დაადგნენ უპრეცედენტოს უწოდებენ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში.

განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, (საკვლევი). აქ გაიმართა განიარაღების კომიტეტის სხდომა, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია ატომური განიარაღების საკითხები. ამ პრობლემას მიეძღვნა მონგოლეთის, იაპონიისა და შვეიცის წარმომადგენელთა გამოსვლები.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა, თქვა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატმა დ. ერდემბილეგმა, მტკიცედ და გადაჭრით უჭერენ მხარს სამხედრო კონფრონტაციის მატერიალური საფუძვლების ლიკვიდაციას. მშვიდობისა და განიარაღების პოლიტიკა, რომელსაც მტკიცედ ატარებენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის არსიდან გამომდინარეობს.

იაპონიის წარმომადგენელმა მ. ოგასამ დადებითად შეაფასა ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების პროექტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა.

შვეიცის დელეგაციის მეთაურმა ინგა ტურსნმა კომიტეტს განსახილველად გადასცა საუბარო დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ყოველგვარ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების პროექტი.

იძულებითი გადადგომა

ვაშინგტონი, (საკვლევი). კონგრესმენი გ. გონსალესი (დემოკრატი ტეხასის შტატისგან) გადადგა წარმომადგენელთა პალატის იმ სპეციალური კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან, რომელიც იძიებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის, მისი ძმის სენატორ რ. კენედის და ამერიკელი ზანგების მოქალაქეობრივი უფლებებისათვის გამორჩენილი მებრძოლის მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობას.

კომისია, რომლის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა გ. გონსალესი, დააფუძნეს ამერიკის საზოგადოებრიობის

საბჭოთა მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

ხალხური ოსტატების ხელოვნება

საბჭოთა კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე გახსნილია ჩვენი ქვეყნის ხალხური ოსტატების ნამუშევრების გამოფენა დევიზით: „სუვენირები, მხატვრული რეწვის ნაკეთობა და საჩუქრები".

გამოფენაზე ვინახულეთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. გრიგალაშვილი და ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა გამოფენის შესახებ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის.

ეი რა გვითხრა მან:

— სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ აქ დიდი წარმატებით ჩატარდა საქართველოს დღეები. გამოფენაზე წარმოდგენილია ხალხური მხატვრული რეწვის და სუვენირების 500-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ხელით ნაქსოვი ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი, კერამიკა, სხვადასხვა სამკაულები, უნიკალური ხის ნაკეთობანი და სხვ. ჩვენი რესპუბლიკის ოსტატთა ნამუშევრები ბეგრჯერ იყო წარდგენილი საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. მათი შემოქმედებითი შრომის გამარჯვებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გაერთიანება „სოლანი" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან — იაპონიიდან, საფრანგეთიდან, ირანიდან, კანადიდან და ერაყიდან დაკვეთებს იღებს ხალხური რეწვის ნაკეთობებზე... ხალხური რეწვის პროდუქცია მეათე ხუთწლეულში 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

მნახველებს ძალიან ეწყინთ ქართველ ხალხურ ოსტატთა ნაკეთობანი — ფიალები, სირჩები, სინები, ლანგარები, კულები, კოვზები, სამარილეები, ხოლო კაკლის ხისგან ძველებური ნიმუშების მიხედვით დამზადებული კულებით, თასებით, დოქებითა და ფიალებით ყველანი აღტაცებულნი არიან.

სტუმარი ინტერესით ეცნობა სტენდებზე გამოფენილ ნაკეთობებს, ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს კულტურულ ძეგლებს — აი, ვერცხლის ლანგარზე ბრწყინავს ქართული ხილი, მოჩანს შამპანური ხურჯინი შოთი პეტებით და სხვ.

ჰეფერი ხელოვნების ოსტატთა ნახელავი გამოფენის მთავარ დარბაზშია წარმოდგენილი. საქებარია ფირმა „სოლანის" (გენერალური დირექტორი ზ. უგულავა) ინიციატივა, მან მოსკოვში ჩამოიყვანა ჩვენ რესპუბლიკის ხალხური ოსტატები, რომლებიც ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი საგამოფენო დარბაზში სხედან და უამრავ სტუმრს თავიანთ მზიურ ხელოვნებას უჩვენებენ, ოსტატობას უზიარებენ მსურველთ. დუშეთიდან ჩამოსულან ბაბელია არაბული და ნატალია ვერძეული. ისინი ძველებურ ხევსურულ დაზგა-ყდაზე ხელით ქარგავენ ქართულ ხალიჩას; მესტიის რაიონის სოფელ შულახის მკვიდრი აღექსანდრე ჯაფარიძე პროფესიით მასწავლებელია და ამავე დროს ხის ნაკეთობათა ოსტატი; თბილისიდან არიან ჯემალ ჯავანძიე, გიორგი გიორგაძე და ა. მაზიაშვილი; სოხუმიდან — ტარიელ ამპარი...

ეი რა გვითხრეს იუგოსლავიელმა სტუდენტებმა, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ: „მხატვრული გაფორმების დიდი კულტურა, ფერების საოცარი შეხამება და ქართული ეროვნული სურნელი ქმნის საოცარ სიმყუდროვეს და სილამაზეს. ძნელია აღტაცება და სიხარული დაფარო"...

შთაბეჭდილებათა წიგნში ვკითხულობთ: „სიტყვები არ გვყოფნის აღტაცების გამოსახატავად, თქვენი ხელოვნებით დიდი სიხარული მოგვანიჭეთ. გმადლობთ!" (მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტები).

„სილამაზის ეტალონი ჩვენთვის ყოველთვის იყო საქართველო. თქვენ მშვენიერების გრძნობას ქადაგებთ თქვენი ხელოვნებით" — ა. ფალატოვის ოჯახი, ქ. მაგნიტოგორსკი.

საქართველოს პავილიონი მხატვრულად გაფორმა ვ. გულისაშვილმა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

* * *

სურათზე: ქართული ხალხური რეწვის ოსტატები მოსკოველებს უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას.

ქვაზე დაწერილი ისტორია

კანონი ძეგლთა დაცვა-პატრონობაზე და ჩანაწერი ისტორიულ-არქეოლოგიური ღირებულებიდან

ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონის საფუძველზე თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება მამა-პაპის გარჯით ნაგებ და სისხლით დაცული ძეგლების მოვლა-პატრონობის, გაუმჯობესების, ხალხის სამსახურში ჩაყენების საქმეში. სწორედ ამაშია ამ ისტორიული საკანონმდებლო აქტის დიდი მნიშვნელობა, რომლის სწორად გაგებას და განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და მათი მიზნობრივად გამოყენების საშვილიშვილო საქმეში ამირიდან ძლიერდება ხალხის მასებს, კერძოდ კოლკაშირელების, პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის როლი; ისინი ღიარსულად უნდა გახდნენ ძეგლის ნამდვილი მეგობარნი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადაიდგა ახლახან ძეგლის ნორჩ მეგობართა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრების „ჩექურთმის" საგუშაგოების საზეიმოდ გახსნით.

ეს კანონი ახალი ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მუშაკებს, მათ ხელმძღვანელობას, რათა ორგანიზაციულად, ახლებურად გარდაქმნას, უფრო მობილურ-ოპერატიული გახდეს ბრძოლა. დრო გაორმაგდეს პასუხისმგებლობაც როგორც ძეგლთა დაცვის, ასევე მათი მეცნიერულად შესწავლისა და გამოყენების თვითეულ უბანზე.

ძეგლების ისტორიულად შესწავლა, მათი საიდუმლოებათა ფარდის ახდა და ხალხის სამსახურში ჩაყენება, როგორც ამას კანონი გვავალებს, ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ გვინდა მოკლედ შევეხეროთ მკითხველის ყურადღება სოფელ ხომულის ციხეზე, მასზე ამ ორიოდე წლის წინათ ამავე სოფლის მკვიდრთა დახმარებით მოკლეულ ისტორიული მნიშვნელობის ლაპიდარულ წარწერაზე, რომელიც აქამდე საიდუმლოებად რჩებოდა.

* * *

სოფელი ხომული კურორტ წყალტუბოს შემოგარენია, დღეს კი უკვე მასთან შეერწყმულ-შეზრდილი. ხომულს ამშვენებს თეთრი მღვიმის პრეისტორიული გამოქვაბული, XV ს. მოხატული ხაყდარი და უფრო ბევრად ადრინდელი ციხე-გალავანი, უკანასკნელს დღემდე შემოენახავს ერცელი ლაპიდარული წარწერა, რომელზეც გვინდა შეეჩეროთ აქ მკითხველის ყურადღება.

დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი ლაპიდარული წარწერებიდან, აღმოსავლეთთან შედარებით, მეტად მცირეა ჩვენამდე მოღწეული. მათი დიდი უმრავლესობით მხოლოდ ეკლესია-მონასტრებია მოკაზმული და ძალზე იშვიათია შემთხვევა, როცა ლაპიდარულ წარწერებს ციხე-გალავნებზეც ვხვდებით, ხოლო წარწერა ლექსად, მისი მშენებლის მოხსენიებით, უნიკალურია. სწორედ ასეთია ჩვენთვის საინტერესო ეს წარწერა, რომელიც გასულ წელს აღმოჩნდა ციხის კარიბეჭზე ამ სოფლის მკვიდრთა დახმარებით.

ხომულის ციხე-გალავანი მრავალმხრივ საინტერესო ნაგებობაც გვევლინება. ციხის მაღლა აზიდული მოხდენილი კომკი დამშენებულია ღრმა და ციცაბო-კლდოვან კარსტულ გამოქვაბულზე, რომელიც თავის მხრივ, ციხესთან ორგანულად დაკავშირებულ სტრატეგიულ, ღრმასართულოვან ბუნებრივ სიმაგრედ წარმოგვიდგება. გამოქვაბულის ფსკერზე აღმოჩენილია ცივი წყარო ამოჩუხჩუხებს; იგი ციხეს და სოფელს ყველა პირობებში უზრუნველყოფდა სასმელი წყლით.

ციხის ადგილად მისადგომი მხარეები გარშემორტყმულია მთლიანად სამი მეტრი სისქის, ფლეთილი კირქვა დეფაბთ ნაგებ-ბი გასაკლდევებულ, 4-5 მეტრამდე სიმაღლის მტკიცე კედლებით, რომლებიც მძლავრ ბურჯებთან ერთად კირქვის თლილი დეღაბ-ჩასხმული დიდი ქვების მტკიცე ფენით ყოფილა მოპირკეთებულ-პერანგჩაცმული.

ციხე-გალავნების მშენებლებად მეფენი და უგალენიანესი თავადაზნაურნი იხსენიებიან წარწერებით, მაგრამ მათ ყოველთვის ხალხი, სოფელი აშენებდა და საჭიროების დროს ციხე-გალავანს ასევე მთელი სოფელი აფარებდა თავს. მაგრამ იყვნენ ზოგი თავგასული მებატონენი, რომლებიც ციხე-გალავანს თავის საკუთრებად აცხადებდნენ და გლეხებს უკრძალავდნენ ციხით სარგებლობის უფლებას. ასეთ ფეოდალებს სამეფო ხელისუფლება დაუნდობლად ებრძოდა. მაგალითად, მეფე ერეკლე მათ ციხის დანგრევით, მისი „ძირიანად გადმობრუნებით" სჯიდა.

ციხეებზე, მათ ნაგებობათა სტრატეგიულ-მიუდგომლობასა და მტერთაგან უძლეველობაზე ძველთაგანვე ითხზეებდა როგორც ფოლკლორული, ისე პოეტური ნაწარმოებები, საგალობლები, თქმულებანი და ლეგენდები.

ხომულის ციხეზე შემორჩენილი-ლაპიდარული წარწერა გვაუწყებს ციხის აშენებელთა ვინაობას და ამასთანავე ლექსად გვაცნობს ამ ციხის მნიშვნელობას.

ლექსი რუსთველური შაირით არის გაწყობილი; მას გარკვეული მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობაც ენიჭება.

ეი ამ წარწერის მთლიანი ტექსტი: თხრობით — „ქ. ღმერთო, ცისა და ქვეყნის აღმშენებელო, აღმაშენებინე ციხე ხომლის მე, ღოღაბერიძე ზალს და გიორგის". და ამას ლექსად მიაყვება:

„ქ. ღმრთით აღვაშენე ეს ციხე
თვით უმაგრესი კლდისაგან;
არ ვარგა მასზედ მოდგომა, მე
მაქუს მტკიცედ ღმრთისაგან,
სისკე გასინჯე, სიმაგრე, ხომ
ვერ დამამშრეს წყლისაგან?
და მებრძოლი, ცუდად
მაშურობი ვერ მოჰრჩე
სიკვდილისაგან.
ციხე ვაშენე ხომულის, მე
ზღუდე-კარუპოველი,
ღმერთო კეკლრი ვარ, მომხედენ,
შენებულსა თქვენგან მოველი,
უთქვენოდ არ აშენდების —
ციხე, ყმის სახლი ყოველი,
და მახმარე მშვიდობაშიგან,
ვარ ფარმანისა მთხოველი".

ხომულის ციხის კლდეკარის კარიბეჭზე ამოკვეთილი ეს წარწერა უთარიღოა, მაგრამ პალეოგრაფიული და სხვა მონაცემებით იგი XVII საუკუნით თარიღდება.

ხომულის ციხის განმანახლებელ-აღმშენებელი ზალ ღოღაბერიძე იმერთის სამეფოს გაგლენიანი პირი ჩანს. იგი ბეჟან ღოღაბერიძესთან ერთად მოხსენებულია რუსეთის მეფის ალექსეს სახელზე 1669 წლის 6 დეკემბრის ბაგრატ იმერთა მეფის მიერ დადებულ ფიცის წერილზე დაოთულ იმერეთის სამეფოს წარჩინებულ პირთა სიაში. აქ ნათქვამია: „ბაიარი ღოღაბერიძე ბეჟან და ბაიარი ღოღაბერიძე ზალი".

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში 1643-1649 წლებში ზალ ღოღაბერიძეს შესაწირავი შეუტანია და აღაპი დაუწესებია. ჩანს იგი შეძლებული პირი ყოფილა.

ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 1488 წელს ეპატე ღოღაბერიძეს ციხისთავის თანამდებობა დაუკავებია.

ამგვარი ეკონომიური შემართებისა და კლდეზე უმაგრესი ციხის მფლობელ-მშენებლები, მიუხედავად ამისა ოერთს მაინც მშვიდობას ვეედრებიან — ციხე „მახმარე მშვიდობაშიგან ვარ ფარმანისა მთხოველი"-ო.

და მართლაც, როდესაც რომანტული და როდესაც კეთმოყვარეული ჰუმანიზმით არის აღსავსე ხომულის ციხის განმაახლებელ-აღმშენებელთა ჭეშმარიტმამულიშვილთა ვედრება, რომ სამარად გამართული, კლდის უმაგრესად ნაგები ციხე მშვიდობაში მოხმარდეს ქვეყანას, ხალხსო.

ხომულის ციხე-გალავანი წყაროთი, ციხის მფლობელ ღოღობერიძეთა ქვის ისტორიული სასახლეთ, კერორტ წყალტუბოს სანახაობები მდებარეობს. დიდებული ისტორიული ნაგებობები კარსტულ გამოქვაბულებთან არის შერწყმულ-შეხამებული და წარმშვენელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. აქ თითქოს ცოცხლდება შორეული ისტორია. რაიონის ადგილობრივი ორგანოების ზრუნვით იწყება ამ დიდებული ძეგლის ფაქტზად დაცვა, კამკამა ცვლი წყაროს მისასვლელთა კეთილმოწყობა. ეს ადგილი მშრომელთა დასვენებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ახალ კერად გადაიქცევა. ხომულის ციხე-გალავნის კომკთან ერთად განხორციელდება დანგრეული პირის მისული XV საუკუნის ფრესკებშემორჩენილი საყდრის გადახურვა და დაცვა. ამ გზით ისტორიული წარსული საბჭოთა ხალხის თანადროულობის სამსახურში დროულად და ღირსეულად ჩადგება.

ავთ. იოსელიანი,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

სურათზე: სოფელ ხომულის ციხის კოშკი.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ზოგადსაგანმანათლებელო დღის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდება 24 მარტიდან 31 მარტამდე. მეცადინეობა სკოლებში შეწყდება 23 მარტს, ოთხშაბათს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 1 აპრილს, პარასკევს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით 1977 წლის 6, 7 და 8 მარტს სკოლები ისვენებენ.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ **„საქართველოს სოფლის მეურნეობის"** მორიგი, მეორე ნომერი.

ჟურნალი იხსნება **მოწინავე** წერილით — „უზრუნველყოთ ალებულ ვალდებულებათა შესრულება.

ჟურნალს აქვს რუბრიკები **„წითელწყაროელ მეცხვარეთა კარგი წამოწყება", „ორგანიზებულად ჩავატაროთ დოლი"; „ქიმიკოსის ტრიბუნა"; „ჩვენი მოწინავე ადამიანები"; საუბარი სადღესასწაულო თემაზე"**, სადაც გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს აფხაზეთში, აჭარაში უმტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა 7-10 გრადუსი სითბო, კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა 7-12 გრადუსი სითბო.

სამხრეთ ოსეთში მოსალოდნელია ზოგან მცირე ნალექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 4-8 გრადუსი სითბო, ბორჯომის ხეობაში — უმეტესად მშრალი ამინდი, ტემპერატურა 1-6 გრადუსი სითბო, ქართლში მშრალი ამინდი იქნება, კახეთში ზოგან მცირე ნალექი და ნისლი, ტემპერატურა 6-11 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე ნალექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 9-11 გრადუსი სითბო.

ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲠᲘᲐᲚᲘ

საბჭოთა დუეტი — ჩემპიონი

ტოკიოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიგურულ სრიალში ოქროს მედლები სპორტულ ცეკვებში მოიპოვა საბჭოთა წყვილმა — მოსკოველებმა ირინე მოისეევამ და ანდრეი მინენკოვმა.

ვერცხლის მედლები გადაეცათ ინგლისელებს ჯენეტ ტომპსონსა და უორენ მაკსუელს, ბრინჯაოსი — მოსკოველებს ნატალია ლინიჩუკსა და გენადი კარპონოსოვს. კიდევ ერთი საბჭოთა წყვილი — მარინე ზუევა და ანდრეი კოტმანი — მეხუთე ადგილზე გავიდა.

ᲕᲐᲚᲓᲠᲐᲙᲘ

პრეზიდენტთა მატჩები

ჯერჯერობით ყველაზე უფრო მძაფრად ლარსენ-პორტიშის მატჩი მიმდინარეობს. ლარსენის ტაქტიკა ნათელია: თეორიებით იგი შეუბოვრად იბრძვის მოგებისათვის (პორტიში დანიელის მიერ პირველი პარტიის წაგებას ზედმეტად ავრესიული ჩაწერილი სვლით ხსნის), შავებით კი მეტად ფრთხილობს და ყაიმზე თანახმაა.

მესამე პარტიაში ლარსენი კვლავ თეთრებით თამაშობდა. ეს პარტია გადაიდო მისი უპირატესობით და შეხვედრის, განახლებისას, მე-ე სვლაზე მოიგო კიდეც ანგარიში ამ მატჩში გათანაბრდა — 1,5:1,5.

მესამე პარტიაში სპასკი თეთრებით თამაშობდა პორტთან, მან გაიმარჯვა და დაწინაურდა — 2:1.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ჩემპიონატი იწყება

2 აპრილს (შაბათი) საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ფეხბურთში სსრ კავშირის საიუბილეო, მე-40 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ამ დღეს თბილისის „დინამო" უმასპინძლებს კიევიდან „ციერნია სოვეტოვს". ტურის დანარჩენ შვიდ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან: დონეცკის „შახტიორი"-მოსკოვის „ტორპედო", ეროშილოვგრადის „ზარია"-დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", კიევის „დინამო"-ლვოვის „კარპატი", ოდესის „ჩერნომორეცი"-მოსკოვის „ლოკომოტივი", ბაკოს „ნეფტჩი"-მოსკოვის „დინამო", ალმა-ათის „აირატი"-ცსკა, ერევნის „არარატი"-ლენინგრადის „ზენიტი". ჩემპიონატი ორ წრედ გაიმართება.

27 მარტს (კვირა) შედგება პირველი შეხვედრები სსრ კავშირის თასზე, რომლის ფინალი დანიშნულია ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — 13 აგვისტოს.

ახალი სეზონისათვის ემზადება სსრ კავშირის ნაკრებიც, რომელიც 24 აპრილს საოთთარ მოედანზე მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩს გამართავს საბერძნეთის გუნდთან. ჩვენი ნაკრების უახლოეს გეგმებში შედის ამხანაგური მატჩები თბილისის „დინამოსთან" (თბილისში, 15 მარტს), ტუნისის ნაკრებთან (ტუნისში, 20 მარტს), იუგოსლავიის ნაკრებთან (ბელგრადში, 23 მარტს) და „ლოკერენის" კლუბთან (ბელგიაში).

რ. შენგელიას გოლი

ირანში დამთავრდა იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ნაკრებიც მონაწილეობდა. ფინალურ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 1:0 და პირველ ადგილზე გამოვიდნენ. ბერთი მეორე ტაიმში გაიტანა თბილისელმა დინამოელმა რამაზ შენგელიამ. მესამე ადგილზეა რუმინეთის გუნდი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

7 მარტი

10.30 — „მაღვიძარა" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „მეევსწავლოთ ქართული ენა",
11.45 — „მულტიპანორამა",
13.00 — „მუსიკალური კიოსკი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — უფროსკლასელთათვის — „იუტმენი, „ბალახის ფოთლები" — განმეორებით ფერადი გამოსახულებით,
14.00 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე),
16.10 — „კინოს მოყვარულთათვის",
17.45 — „საერთაშორისო პანორამა" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ოქროს ხელები",
18.35 — კონცერტი,
19.20 — „კინომოგზაურთა კლუბი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.40 — „პირველად ჩვენს ეკრანზე — ქართული მხატვრული ფილმი — „პირველი მერცხალი" ფერადი გამოსახულებით,
10.50 — მხატვრული ფილმი — „ქალაქური რომანსი",
12.25 — „კინომოგზაურთა კლუბი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დღე „კანასკნელი",
18.40 — განცხადებები,
18.45 — „კანონი და კანონიერება",
19.00 — „ვერნისაჟი",
19.25 — „საესტრადო პანორამა" — ფერადი გამოსახულებით,
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.35 — „სპორტული მიმოხილვა",
21.00 — დ. კლდიაშვილის „უბედურება", გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — დ. კლდიაშვილის „მსხვერპლი" — გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი,

10 მარტი

10.30 — მხატვრული ფილმი „მოსკოვი, ჩემი სიყვარული" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „ჩვენი ბიოგრაფია" — „1934 წელი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.00 — დოკუმენტური ფილმი „ციმბირი, ბამი მეცნიერება",
17.50 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე),
18.10 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
18.40 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე",
19.00 — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის" — „მამათა სიმღერები",
19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — „საერთაშორისო დღიური",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „უკრავს ელდარ ისაკაძე",

11 მარტი

10.30 — დოკუმენტური ფილმი — „გამარჯვება ზურგშიც იქნებოდა",
11.30 — მხატვრული ფილმი „სახლი სერაფიმისათვის",
17.40 — კინონარკვევი — „ოსტატობის სკოლა",
17.50 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
18.25 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი",
18.50 — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — მომძე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება" — მოლდავეთის სსრ,
19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.00 — „გლობუსი" — ფერადი გამოსახულებით,
21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია" — „1935 წელი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ცისფერი ეკრანი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),

12 მარტი

10.30 — „ბურატინოს გამოფენა" (გადმოცემა [illegible]),
11.00 — „[illegible] მშობლებო!" — (გადმოცემა [illegible]),
[illegible] — „[illegible] ქართული ენა",
12.15 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობის მოწინავე ხაზზე",
13.45 — დოკუმენტური ფილმი „ლენინდად ქცეული ფრენა" — (ქართულ ენაზე),
14.15 — „ახალგაზრდობა" — — სატელევიზიო პროგრამა,
15.00 — მღერის ზურაბ სოტკილავა,
15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
16.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „მწვანე ტალღა",
17.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი,
18.00 — „ცხოველთა სამყაროში",
19.00 — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის" — ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში,
19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიტმი",
19.45 — „მეცხრე სტუდია", (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მხატვრული ფილმი — „სხივდანთებული ბედნიერება" (II სერია).

13 მარტი

10.30 — „მაღვიძარა" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „მეევსწავლოთ რუსული ენა",
11.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი — „კოდალას თავი არ სტკივა",
13.00 — „მუსიკალური კიოსკი" — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „კინოპანორამა",
14.00 „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის" — დოკუმენტური ფილმი „წერილები ტაგიდან" (ქართულ ენაზე),
14.20 — „საბადოკა სკოლა",
14.40 — „კინოს მოყვარულთათვის",
16.00 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა,
16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები,
17.00 — მოსწავლეთათვის „მხიარული შეჯიბრება" — (მინსკი-თბილისი),
17.55 — „საერთაშორისო პანორამა",
18.25 — „გაუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს" — დავით გარეჯი,
18.55 — „ცეროდენას ეკრანი" — (ქართულ ენაზე),
19.10 — „საესტრადო სუვენირები" — ფერადი გამოსახულებით,
19.40 — „კინომოგზაურთა კლუბი",
20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — „ოქროპირი" — საბერძულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „დიალოგი მსახიობზე" — სერგო ზაქარიაძე.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

5 მარტი

პირველი პროგრამით

10.30 — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტოკიოდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „კარპუხინი", 16.55 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო შემეცნებითი ჟურნალი „მოზაიკა", 17.25 — „მეცნიერება — სახალხო მეურნეობას", 17.55 — ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. მოსკოვიდან და თბილისიდან შესვენებისას „მოამბე" — 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის პირველობა ჰოკეიში: ცსკა-„ტორპედო" (III პერიოდი); 2. მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტოკიოდან).

მეორე პროგრამით

17.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „შეჩერება სამი საათით" (ფერადი გამოსახულებით), 18.55 — კონცერტი, 19.40 — დოკუმენტური ფილმი „ბაკო და ბაკოელები", 20.30 — მხატვრული ფილმი „ურისგება" (II სერია).

6 მარტი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.32 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — „მღერიან ბედნიერი ბავშვები". კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა", 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „ი. დუნაევსკის სიმღერები", 14.00 — რუსი პოეტები — საქართველოს, 14.15 — ბ. კვერნაძე — საბიოლინო კონცერტი და საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია", 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" — ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — „დიდები და პატარები". ნარკვევი „დიდის სიხარული", 15.45 — ქართული მუსიკა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა — „დაყარავებული ხე" (ნაწილი პირველი), 18.00 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 19.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — ჯ. გამსახურდია — „მთვარის მოტაცება" რადიოდადგმა (ნაწილი პირველი), 22.05 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

5 მარტი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲘ; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲓᲐᲛᲣᲠᲘ; მინიატურების სახელმწიფო — ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲫᲛᲠᲗᲔᲑᲗ; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲐᲮᲚᲝᲒᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ — 8 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲦᲘᲡᲬᲧᲐᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲑᲐ.

რაიონისა და სოფლის მაღაზიებში თქვენ შემოგთავაზებენ: სასაჩუქრე ნაკრებებს, ქალის ლამაზ თავსაბურებსა და ჩანთებს, სუნამოებს, წიგნებს, სხვადასხვა სუვენირს, წიგნებს, ბროლისა და საიუველირო ნაწარმს, ქალის შუბ ტანსაცმელს, თეთრეულს, ფეხსაცმელს და ფართო ასორტიმენტის სხვა საშრეწველო საქონელს.

დროულად შეიძინეთ საჩუქრები 8 მარტისათვის!

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-